ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4361669

ნომერი: AR1657482

თარიღი : 30.01.2019

გაცემის თარიღი : 04.02.2019

გაცნობის თარიღი : 04.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 65;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გუგუშვილი პ/ნ 01013012330
- თბილისი ო.თაქთაქიშვილის ქ. N 13 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
- წარმოსადგენია ახალი შედარებით შორი და სხვადასხვა ხედიდან გადაღებული (ფასადის გარკვეული ნაწილის გამოჩენით) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და მასზე დამუშავებული ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. ასევე ცალკე წარმოადგინეთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადის საანგარიშო ზედაპირი (კონტურის სახით მონიშნული) და მასზე განსათავსებელი სარეკლამო აბრის ზომები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფასადის 20 %–ს.
- თქვენს მიერ წარმოდგენილი შპს დემორის თანხმობა მისაღები არ არის, ვინაიდან სარეკლამო აბრის განთავსებაზე თანხმობას აძლევს ილონა მამთაჯის, განცხადებაზე წარმოდგენილი სამუშაოებით კი დგინდება, რომ საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს „ვივიესი“, აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ზოგადი შინაარსის თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე ან წარმოადგინოთ კონკრეტული განცხადების ნომრის მითითებით. ასევე საჭიროა წარმოადგინოთ ილონა მამთაჯის, როგორც ფიზიკური პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. მისი ნება განცხადებით წარმოდგენილ სამუშაოებზე გამოვლენილია როგორც შპს-ს წარმომადგენლის და არა როგორც ფიზიკური პირის მიერ. ასევე იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი სამუშაოებით ეხებითშპს ბელეცას სარგებლობაში არსებულ ფართს, საჭიროა წარმოადგინოთ მისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.